ოქმი #16

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

ქ. ცაგერი 17 ოქტომბერი, 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მ. კოპალიანი

საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, გ. გოგებაშვილი, მ. ახვლედიანი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. ბურჯალიანი, ე. საღინაძე, ზ. მეშველიანი, გ. ახვლედიანი, ნ. ტვილდიანი, ბ. ახვლედიანი, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: ა. თუთისანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, მ. ლეთოდიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი/

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/გ. ნემსაძე, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მ. ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში მეათე ცვლილების საფუძველია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა შემოსავლების გეგმის ზრდა, კერძოდ, დამტკიცებული იყო 330.5 ათ.ლარის ოდენობით, ფაქტიურად შემოსავლებმა დღეის მდგომარეობით შეადგინა 362.5 ათ.ლარი ე.ი შემოსულია 32,0 ათ.ლარით მეტი დაგეგმილ მოცულობასთან შედარებით.

შესამაბისად გაიზარდოს :

- ა(ა)იპ - კომუნალური მეურნეობის სუბსიდია (გარე განათება) - 8 000 ლარით,-
- ა(ა)იპ-კომუნალური მეურნეობის სუბსიდია(დასუფთავების ღონისძიებები)-22 000 ლარით,
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (მოსახლეობის მიერ მოხმარებული წყლის სუბსიდია)- 2000 ლარით.

ცვლილების საფუძველია ასევე ზოგიერთი პრიორიტეტის და პროგრამის ფარგლებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება და შესაბამისი პროგრამების საგეგმო მაჩვენებლების გაზრდა. მიმდინარე ეტაპზე საშუალება გვეძლევა შემცირდეს დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება–219800 ლარით და მოხდეს მისი გადანაწილება სხვადასხვა პრიორიტეტსა და პროგრამებზე, კერძოდ გაიზარდოს:

- ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდია - 15000 ლარით (ანსამბლის წევრთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგება, აპარატურის შეკეთება, „მწვანე თეატრზე“ დაზიანებული კომუნიკაციის მიმდინარე აღდგენა),
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდია – 13800 ლარით(ოქტომბრის თვეში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება),
- საგზაო ინფრასტრუქტურა – 10000 ლარით
- ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“-ის სუბსიდია– 20000 ლარით(ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება, ფრენბურთის კლუბ“ცაგერი“-ის წევრებისათვის საქართველოს ჩემპიონობასთან დაკავშირებით წახალისების გაცემა)
- ა(ა)იპ - ქალთა და ბავშვთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი“-ის

  სუბსიდია – 8000 (ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება)

- სარეზერვო ფონდი– 10000ლარით
- მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება - 12000ლარით
- მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურება– 30000ლარი
- ა(ა)იპ „ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის“ სუბსიდია– 1000 ლარით.
- რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება – 100000ლარით.

  შემცირდეს:

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება– 5500ლარით.

  გაიზარდოს:

- ა(ა)იპ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ახალგაზრდობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრის დაფინანსება – 5500 ლარით (ლადო ასათიანის 105 წლისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „ლეჩხუმლობა -2022“-ის პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსებისათვის).

ცვლილების საფუძველია, ასევე, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის #51 განკარგულება ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა 284414.89 (ორასოთხმოცდაოთხიათასოთხასთოთხმეტი ლარი და 89 თეთრი) ლარი ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში აისახოს მიზნობრივი გრანტის სახით, ხოლო გადასახდელებში მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირებაში(მგზავრთა გადაყვანა).

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, მ. კოპალიანმა, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ

კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომრემ:

ნ. ტვილდიანმა

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18-მა დეპუტატმა,

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი